

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ნარატიული იდენტობის კონსტრუირება ქართულ კულტურაში¹

ანა ჭირაქაძე¹, დეა დიხამინჯია²

¹ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

² ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის IV კურსის სტუდენტი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

Constructing the Narrative Identity by Victims of Sexual Violence in Georgian Culture

Ana Chirakadze¹, Dea Dikhaminjia²

¹ Bachelor Student at TSU, Faculty of Psychology and Education, IV year

² Bachelor Student at TSU, Faculty of Psychology and Education, IV year



¹ „ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა შეეხება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და მათს ნარატივებს. კვლევის მიზანია, დადგინდეს, თუ როგორ ქმნიან, აგებენ, აკონსტრუირებენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები საკუთარ იდენტობას ქართულ კულტურაში. კერძოდ, შევისწავლეთ, თუ როგორ აკონსტრუირებს სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ქალი საკუთარ ცხოვრებას და რა ეტაპებს გადის ის ისტორიის თხრობის პროცესში; როგორ აღიქვამს საკუთარ თავსა და ცხოვრებას წარსულსა და აწმყოში; როგორ აფასებს საკუთარ გამოცდილებასა და მასთან გამკლავების გზებს. კვლევა ეყრდნობა ნარატიულ მიდგომას. ჩატარდა ორი ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ (თითოეულის ხანგრძლივობა 1-1.30 საათი). აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობდა ორი ქალბატონი, რომელთა ასაკი იყო 25 წელი. ჩატარებულ ინტერვიუთა თემატური ანალიზით გამოვლინდა პოსტტრავმული ზრდის ფენომენი, ცვლილება წარსულ და აწმყო „მე“-ს შორის, ასევე, შეინიშნებოდა პრობლემების მინიმიზაცია და რაციონალიზაცია. რესპონდენტების ნარატივში ნათლად გამოჩნდა კულტურის გავლენაც. კვლევისას მნიშვნელოვანი იყო სოციალური მხარდაჭერისა და ისტორიის ხმამაღლა მოყოლის პოზიტიური შედეგების აღმოჩენა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ქალებზე სექსუალური ძალადობა, ნარატიული იდენტობა, ქართული კულტურა, მინიმიზაცია, რაციონალიზაცია, პოსტტრავმული ზრდა, სოციალური მხარდაჭერა.

Abstract

The recent study is about women, who have been the victims of sexual violence and about their narratives. The purpose of this research is to study how sexually harassed women construct their identity while telling this story in the Georgian culture. All in all, we have studied how victims of sexual violence organize their lives, what processes they go through while talking about their experience, how they perceive themselves and their lives in the past, present, and future, how they estimate their experience and the way they handle it. This research shares the interests of narrative psychology. There have been conducted the semi-structured, in-depth interviews (duration was 1-1,5 hours). Two 25-year-old women participated in this research. The topical analysis showed the phenomenon of post-traumatic growth, the difference between past and present self, minimization and rationalization of their experience, there was also shown several cultural influences in this research. In addition, support from others and talking about this experience out loud had a great positive impact on the sexually harassed women.

Keywords: sexual violence on women, narrative identity, Georgian culture, minimization, rationalization, post-traumatic growth, social support.

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა და სიმწვავე

ქალთა მიმართ ძალადობა, ისევე როგორც ნაადრევი და იძულებითი ქორწინება, ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმად რჩება საქართველოში (UN Women, 2018). სექსუალური ძალადობა ყოვლისმომცველი არასამართლებრივი ცნებაა, რომელიც მოიცავს სექსუალურ შევიწროებას, შეურაცხყოფას, გაუპატიურებასა და ა.შ.

როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (სსსკ) რამდენიმე მუხლი ეთმობა სექსუალური ძალადობის საკითხს. მაგალითად, 137-ე მუხლის თანახმად, *გაუპატიურება* გულისხმობს: „პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“. განმარტებიდან ჩანს, რომ გაუპატიურებისას სქესობრივი კავშირის დამყარება შესაძლებელია სამი სხვადასხვა ხერხით: *ძალადობა* („ცემა, ხელფეხის შებორკვა, პირის ახვევა, რასაც თან ახლავს კიდურების გადაგრეხვა, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება“); *ძალადობის მუქარა* (ფსიქოლოგიური ძალადობა), რაც შესაძლებელია განხორციელდეს სიტყვით ან იარაღის დემონსტრაციით; *უმწეო მდგომარეობის გამოყენება* კი მოიაზრებს ისეთ ვითარებას, როდესაც პირს არ აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს ან გაიაზროს, რა ხდება მის თავს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე განასხვავებს: *სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას*, რომელიც მოიაზრებს არასასურველ გაუკუღმართებულ სექსუალურ ქმედებას („სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“; სსსკ, მუხლი 138); *პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება* („პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დაზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით“; სსსკ, მუხლი 139); *გარყვნილი ქმედება* („ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარყვნილი ქმედება დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ“; სსსკ, მუხლი 141). მოცემული ტიპის დანაშაული, თავის მხრივ, განსხვავდება იმის მიხედვითაც, თუ ვინ ჩაიდინა ის, რამდენჯერ, რამდენი ადამიანი მონაწილეობდა, როგორი სისასტიკით განხორციელდა, იყო, თუ არა მსხვერპლი სრულწლოვანი და ა.შ.

მაშასადამე, სექსუალური ძალადობა საკმაოდ ფართო და კომპლექსური ცნებაა, რომელსაც დღემდე აქტიურად იკვლევენ საქართველოში. გაეროს ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის (2009 ციტირებულია წყაროში UN Women, 2018) მიხედვით, ქართველი ქალების 3,9% ოჯახში ძალადობის, კერძოდ, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის (2014 ციტირებულია

წყაროში UN Women, 2018) თანახმად, გამოკითხულთა 77.8% აზრით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ძალიან ხშირად ან საკმაოდ ხშირად ხდება. ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების დაახლოებით 6%-მა მიუთითა, რომ ერთხელ მაინც გამოუცდიათ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორისა თუ მეუღლის მხრიდან (UN Women, 2018). ამავე კვლევაში ქალების უმეტესობა აღიარებს, რომ სქესობრივი კავშირი ფიზიკური ძალის გამოყენებით აიძულებს, რაც გულისხმობს გაუპატიურებას მეუღლისგან ან პარტნიორისგან. ქალთა იგივე რაოდენობა მიუთითებდა, რომ ჰქონდათ სექსუალური კავშირი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, რადგან ემინოდათ, რომ პარტნიორი რამეს დაუშავებდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ 25-29 და 30-49 წლის ქალები ძალადობის ყველაზე დიდ რისკ-ჯგუფს წარმოადგენენ.

ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა არ ხდება მხოლოდ მეუღლის თუ პარტნიორის მხრიდან. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის (UN Women, 2018) მიხედვით, 4-დან 1 ქალზე მეტი (27%) მიუთითებდა, რომ გამოუცდია სექსუალური ძალადობა ან/და სექსუალური შევიწროება არაპარტნიორის მხრიდან, რაც გულისხმობს სხვადასხვა შემთხვევას, მათ შორის, ბავშვობაში გამოცდილ ძალადობას. საქართველოში არაპარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევებში მოძალადეებად ყველაზე ხშირად მეგობრები, ნაცნობები ან/და სრულიად უცნობი პირები სახელდებიან.

კვლევა (UN WOMEN, 2018), რომელშიც მონაწილეობდა 15-64 წლის 6006 ქალი და 15-64 წლის 1 601 მამაკაცი, მიუთითებს, რომ დაახლოებით 15 000 ქალი ერთხელ მაინც ყოფილა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ორსულობის პერიოდში, ქალების 9% კი – 18 წლამდე ასაკში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

საინტერესოა, საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა სექსუალური ძალადობის მიმართ. გამოკითხული ქალების 33% და მამაკაცების 50% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ძალადობა მეუღლეებს შორის პირადი საკითხია. კვლევის მიხედვით ამ მოსაზრებას ეთანხმება ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების 27%. რესპონდენტების ნახევარი კი მიიჩნევს, რომ თუ ქალი წინააღმდეგობას არ უწევს მამაკაცს, მაშინ ეს არ არის ძალადობა. 2008 წელს ქართველი პოლიციელების კვლევამ (UN Women, 2018) აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, ქალები ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი წინდაუხედავი ქცევების გამო ხდებიან ან თავად უწევენ პროვოცირებას.

მოცემული სტატისტიკა აჩვენებს, რომ ძალადობის, კერძოდ, სექსუალური ძალადობის, საკითხი დღემდე მწვავედ დგას საქართველოში. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ქალების უმრავლესობა არ მიმართავს პოლიციას, არც ახლობლებს უზიარებს ინფორმაციას მომხდარის შესახებ, ზოგმა არც კი იცის, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლია და, შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეროვნული სტატისტიკა ზუსტად ვერ ასახავს არსებულ რეალობას. ჩვენი ინტერესიც სწორედ ამ ვითარებამ აღძრა და გვსურს, ამ კვლევით სიღრმისეულად განვიხილოთ, რა პროცესები მიმდინარეობს მსხვერპლი ქალების ცხოვრებაში და როგორ აისახება ეს გამოცდილება მათი ცხოვრების ისტორიებში.

ნარატივი და მისი მნიშვნელობა

ნარატივი ანუ ცხოვრების ისტორია გვიჩვენებს, ვიღაცის მოქმედების მცდელობას და იმას, თუ რა ემართება ამ მოქმედების შედეგად ამ ვიღაცას და სხვებს (ხეჩუაშვილი, 2017, 17). ნარატივი შეიძლება დაგვეხმაროს, რომ გავიგოთ ადამიანის მთელი ცხოვრების ისტორია ზოგადად და/ან აღვწეროთ და ავხსნათ რაიმე კონკრეტული შემთხვევა (McAdams, 2001). ნარატივი ფართო ცნებაა, მოიცავს რა პროცესსაც და გამოცდილებასაც, რომელიც გავლენას ახდენს ნარატორზე და მასში წარმოდგენილი შინაარსები გარკვეული მნიშვნელობის მატარებელი არიან. ნარატივები ცხოვრების ინტეგრირებას ახდენენ ანუ ხშირად მონათხრობის საერთო გასაგებ ჩარჩოში აერთიანებენ ცალკე მდგომ იდეებს, ადამიანებს, მოვლენებსა და ა.შ. (ხეჩუაშვილი, 2017). ცხოვრების ისტორიები გამუდმებით იქმნება და გადაკეთდება სოციალური ურთიერთობებისა და იმ სოციალური კონტექსტის თანახმად, რომელსაც კულტურა განსაზღვრავს (McAdams, 2001).

სიცხადისათვის, „ნარატიული იდენტობა წარმოადგენს საკუთარი თავის შესახებ ინდივიდის ინტერნალიზებულ, განვითარებად და ინტეგრირებულ ცხოვრებისეულ ნარატივს ანუ მოიაზრებს მონათხრობს. ეს ინტერნალიზებული და განვითარებადი ნარატივი, ფაქტობრივად, კოგნიტური სტრუქტურა ანუ სკრიპტია, რომელიც ინდივიდის ცხოვრებას გარკვეულ შინაარსსა და მიზანს სძენს, ასახავს რა დომინანტურ და/ან ძირითად კულტურულ ნარატივებს, რომელთა კონტექსტშიც მიმდინარეობს ინდივიდის ცხოვრება“ (McAdams, 2009 ციტირებულია წყაროში წყაროში ხეჩუაშვილი, 2017, 17).

ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

ამ საკითხზე არსებული მრავალფეროვანი ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, ვფიქრობთ, უმეტეს შემთხვევაში სექსუალური ძალადობა თავდაპირველად იწვევს შიშს, შფოთვისა და შოკს, რასაც გრძელვადიან პერსპექტივაში დანაშაულის განცდა, სირცხვილი და დაბალი თვითშეფასება ანაცვლებს. ეს გამოცდილება ცვლის ადამიანის მსოფლმხედველობას, ხედვას სამყაროსა და საკუთარი თავის მიმართ წარსულში, აწმყოსა და მომავალში (Yuen et.al., 2019; Muldoonet al., 2015).

ავტორების ნაწილი (მაგ., Brown, 2013) ფიქრობს, რომ გაურკვევლობა/ბუნდოვანება (uncertainty), რომელიც პრობლემის მინიმინააციასა და თვითბრალდებასაც მოიცავს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ადამიანების ნარატივში. ის აღწერს, როგორ იცვლება ქალის ნარატივი დომინანტური სოციალური დისკურსის კვალდაკვალ, რაც ლინგვისტურ მოწყვლადობაში აისახება. ამ კონტექსტში დომინანტური სოციალური დისკურსი გულისხმობს იმ შეურაცხმყოფელ, ზიანის მომტან მოსაზრებებს, დამოკიდებულებებსა და შინაარსებს, რომლებიც ქალებში საკუთარი ტრავმის შესახებ დაურწმუნებლობის განცდას ქმნის. დომინანტური სოციალური დისკურსისთვის დამახასიათებელი ფრაზებია: „შენი ბრალია“; „შენ გამოიწვიე“; „არც ისეთი ცუდი იყო, როგორც შენ გგონია“; „ეს უბრალოდ სექსია“ და ა.შ. მაშასადამე, საზოგადოება საზღვრავს, რა, როგორ და ვისთან უნდა ითქვას (Brown, 2013). ქართულ კონტექსტშიც სწორედ ასეთ დამოკიდებულებებს ვაწყდებით. გაეროს ფონდის კვლევებიდან (2018) გამომდინარე,

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული საზოგადოებისთვის ქალი ისევ დამნაშავეა, ის იწვევს მამაკაცს და ყოველივე ეს ქალის ბრალია. მამაკაცის ძალადობრივი ქცევა კი გამართლებულია.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, ასეთი რთული გამოცდილებისა და საზოგადოების მიერ შექმნილი წნეხის პირობებში, რა ფაქტორები აძლევს ქალებს იმის მოტივაციას, რომ გააგრძელონ ცხოვრება და ადეკვატური ფუნქციონირება. კვლევების (Yuen, Billings & Morant, 2019) თანახმად, თერაპია, სოციალური მხარდაჭერა და, ზოგადად, ამ გამოცდილებაზე ხმამაღლა საუბარი, ეხმარება ქალებს, რომ უფრო ეფექტურად გაუმკლავდნენ განცდილით გამოწვეულ შედეგებს და შეძლონ თანმიმდევრული ნარატივის ჩამოყალიბება. კვლევათა სერიებმა აჩვენა, რომ ნარატიული აქტი, რომელიც მოიცავს ტრავმის სიტყვებში გამოხატვას, პოზიტიურ გავლენას ახდენდა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (McLean & Lilgendahl, 2008 ციტირებულია წყაროში ხეჩუაშვილი, 2017).

„ფროიდმა დაგვანახა კოჰერენტული ნარატივის დამარწმუნებელი ძალა, კერძოდ, ის, თუ როგორ არის შესაძლებელი მართებულად შერჩეული რეკონსტრუქციის მეშვეობით ორ აშკარად ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოვლენას შორის არსებული უფსკრულის ამოვსება და უაზრობიდან საზრისის გამოტანა. ეჭვგარეშეა, რომ კარგად კონსტრუირებული ამბავი გარკვეული სახის ნარატიულ სიმართლეს შეიცავს, რომელიც რეალურია, იმწუთიერია და დიდი მნიშვნელობის მატარებელია თერაპიული ცვლილების პროცესისთვის“ (Spence წყაროში Polkinghorne, 1988, 178)².

კვლევის კითხვა და მიზანი

კვლევა შეეხება სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და მათ ნარატივებს. კერძოდ, გვანტერესებდა, ქართულ კულტურაში როგორ ქმნიან/აგებენ/აკონსტრუირებენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები საკუთარ იდენტობას თხრობის პროცესში. უფრო კონკრეტულად ჩვენ ვიკვლევდით, თუ როგორ აკონსტრუირებს სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ქალი საკუთარ ცხოვრებას და რა ეტაპებს გადის იგი; როგორ აღიქვამს საკუთარ თავსა და ცხოვრებას წარსულსა და აწმყოში; როგორ აფასებს საკუთარ გამოცდილებასა და მასთან გამკლავების გზებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პერსონალურ ნარატივებზე გავლენას ახდენს ის კულტურული კონტექსტი, რომელშიც უწევს ადამიანს ცხოვრება. მამასადამე, ვინაიდან ვიკვლევდით ქართველ ქალებს, დაგვანტერესა, რამდენად მოახდინა გავლენა ქართულმა კულტურამ ქალებზე, მათი ნარატივების აგებისა და თხრობის პროცესზე. ქართულ კულტურაში საკმაოდ ტაბუირებულია სექსუალური ძალადობის საკითხები, ასევე, საზოგადოების ფართო ფენების მხრიდან ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების სტიგმატიზება და ამ გამოცდილების გაუფასურება, თითქოს

²წყაროში ხეჩუაშვილი, 2017, 96.

არაფერი მომხდარა. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული დამოკიდებულებების დასანახად საჭიროა კულტურული ასპექტების განხილვა.

გარდა ამისა, საინტერესოა, რა ფაქტორები უზიძგებენ ძალადობის მსხვერპლ ქალებს, გააგრძელონ ცხოვრება ამ მძიმე გამოცდილების შემდეგ და, საბოლოოდ, როგორ უყურებენ ისინი მომავალს.

მეთოდი

მონაცემების შეგროვებისადმი ზოგადი მიდგომა

კვლევა ჩატარდა ნარატიული ფსიქოლოგიის ფარგლებში, შესაბამისად, ის ემყარება ნარატიულ მიდგომას. ჩვენი კვლევა წარმოადგენს თვისებრივ, იდეოგრაფიულ კვლევას, რომელიც ნაკლებადაა ორიენტირებული რაოდენობრივი მასალის მიღებაზე და უფრო მეტად კონცენტრირებულია ნარატივების გამოყენების გზით ინდივიდუალური შემთხვევების ინტერპრეტაციაზე.

კვლევის მონაწილეები

კვლევაში თოვლის გუნდის პრინციპით შერჩეული ორი (25 წლის, მდედრობითი სქესის) რესპონდენტი მონაწილეობდა. ორივე რესპონდენტი იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ამ შემთხვევაში (მონაწილეთა სიმცირის გამო) შერჩევის კრიტერიუმად აღებულ იქნა ზოგადად სექსუალური ძალადობის გამოცდილების ქონა, განურჩევლად მოძალადის ვინაობისა (მეუღლე/პარტნიორი თუ არაპარტნიორი).

კვლევის ინსტრუმენტი

მოცემული კვლევა თვისებრივია, ამდენად, გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, კერძოდ, მაკადამსის (1993 ციტირებულია წყაროში ხეჩუაშვილი, 2017) ცხოვრების ისტორიის ინტერვიუ გარკვეული მოდიფიკაციით.

რესპონდენტებს ვთხოვეთ, წარმოედგინათ საკუთარი ცხოვრება წიგნად, რომელიც რამდენიმე თავისგან შედგება, გამოეყოს ეს თავები, დაესათაურებინათ და მოკლედ აღეწერათ. შემდეგ რესპონდენტებს ვთხოვეთ, გამოეყოს და აღეწერათ 3 ძირითადი ეპიზოდი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათ ცხოვრებაში. ეს მოიცავდა: მაღალ (პიკურ), დაბალ (მძიმე) და გადამწყვეტ მომენტებს. შემდეგ რესპონდენტებს ვთხოვეთ, გამოეყოს და მოეთხროთ საკუთარი სექსუალური ძალადობის გამოცდილების შესახებ, ეს ეპიზოდი მაქსიმალურად დეტალურად უნდა აღეწერათ: რა მოხდა, ვინ იყო ამ სიტუაციაში ჩართული, რას ფიქრობდა და გრძნობდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ამ პროცესში. საბოლოოდ, რესპონდენტებს ვთხოვეთ, გაეზიარებინათ სამომავლო მიზნები, ასევე, გადაეხედათ საკუთარი მონათხრობისთვის და გამოეყოს ცენტრალური ასპექტები.

გარდა ჩამოთვლილისა, დამატებითი კითხვები ისეთი საკითხების დაზუსტებას მოითხოვდა, როგორცაა სექსუალური ძალადობის აქტის გრძელვადიანი შედეგების აღწერა, საკუთარი თავის, იდენტობისა და ცხოვრების აღქმა, საზოგადოების დამოკიდებულება და კულტურის როლი ნარატივის კონსტრუირების პროცესში. ეს საკითხები დეტალურად გაიწერა ინტერვიუს ოქმში.

ინტერვიუ დაახლოებით 1,5-2 საათს გრძელდებოდა. ინტერვიუს დასასრულს მოხდა აუდიოჩანაწერის ტრანსკრიპტირება.

კვლევის პროცედურა და ეთიკური საკითხების გათვალისწინება

მსოფლიოში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო, ინტერვიუ ჩატარდა Zoom-ის პლატფორმის საშუალებით. კვლევის თითოეულ მონაწილეს ინტერვიუს დასაწყისშივე წარედგინა ინფორმაცია ინტერვიუების, კვლევის მიზნის, თემისა და ფორმატის შესახებ. რესპონდენტებს, ასევე, მოუწიათ, გაცნობოდნენ წერილობით ინფორმირებული თანხმობის ფორმას და მხოლოდ მათი თანხმობის შემდეგ (ფორმის დეტალურად წაკითხვა და ხელმოწერა) დაიწყო ინტერვიუების პროცესი. მთლიანი კვლევის პროცესში დაცული იყო ეთიკის ყველა ნორმა, განსაკუთრებით ყურადღება მიექცა: ნებაყოფლობით მონაწილეობის უფლებას, კვლევის დატოვების პირობას, ანონიმურობასა და კონფიდენციალობას, მონაცემების შენახვასა და მონაცემების შემდგომ გამოყენება-გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ტრანსკრიპტირებისა და შედეგების ნაწილში მოცემული სახელები (ადამიანების, ქალაქების, დასახლებების და ა.შ.) შეცვლილია. პირველ რესპონდენტს, პირობითად, ქრისტინე დავარქვით, მეორეს კი - ნატალია.

მონაცემთა დამუშავების მიდგომა

მონაცემების დამუშავებისთვის გამოვიყენეთ თემატური ანალიზი. ორივე რესპონდენტის შემთხვევის ინტერპრეტაცია და ანალიზი მკვლევრებმა დამოუკიდებლად განახორციელეს. ტრანსკრიპტები ორი გზით დამუშავდა: 1) კვლევის კითხვების/კვლევისთვის საინტერესო თემების მიხედვით და 2) ინტერვიუს პროცესში გამოყოფილი სხვადასხვა საკითხის გათვალისწინებით. შედეგების ინტერპრეტაციისას გამოყენებულ იქნა ძირითადად პირველი გზა, რათა გარკვეული კანონზომიერებები, მსგავსება-განსხვავებები წარმოჩენილიყო რესპონდენტების ნარატივებს შორის, ხოლო მეორე გზამ უფრო ფართოდ აჩვენა საკითხი და ხაზი გაუსვა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ნარატივში მნიშვნელოვან ასპექტებს: თუ როგორ აკონსტრუირებენ ნარატივს, როგორ აღიქვამენ საკუთარ თავსა და როგორი ხედვა აქვთ სამყაროს მიმართ, რაც საკმაოდ ინდივიდუალური და განსხვავებული შეიძლება იყოს.

მაშასადამე, გამოიყო შემდეგი ასპექტები: ცხოვრების დალაგება თავების მიხედვით, კულტურის გავლენა ნარატივის თხრობაზე, საკუთარი თავის ხედვა წარსულში, აწმყოსა და მომავალში, საზოგადოების უკუკავშირი, გაუპატიურების ფაქტის აღქმა და რესპონდენტების დამოკიდებულებები მომხდართან დაკავშირებით,

ოჯახის ფაქტორი, შეყვარებულისა და, ზოგადად, პირადი ურთიერთობების საკითხი, სოციალური მხარდაჭერისა და ამბის ხმამაღლა მოყოლის მნიშვნელობა, ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავების/დაცვის მექანიზმები, ტრავმული გამოცდილების დადებითი შედეგები. ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესწავლაც გვსურდა ჩვენ და რაც, თავის მხრივ, გამოიყო ინტერვიუს პროცესში.

თემატურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა, ფართოდ გვეკვლია პრობლემა, განგვიხილა სხვადასხვა საკითხი, რაც წამოიჭრა ინტერვიუს პროცესში, თუმცა, ასევე, არ დაგვეკარგა ჩვენი კვლევის ძირითადი ჩარჩო.

კვლევის სირთულეები

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული კვლევა ჩატარდა „ცხოვრების ისტორიის კვლევა და ნარატიული ანალიზის“ კურსის ფარგლებში და კვლევაში მხოლოდ ორმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, მიღებული შედეგების გამოყენების არეალი ლიმიტირებულია – ვერ შევძლებთ ამ ფენომენზე ფართოდ საუბარსა და გარკვეული კანონზომიერების განზოგადებას, თუმცა მოგვეცა საშუალება, რომ დავხვეწოთ ჩვენი მოსაზრებები მომავალი ფართომასშტაბიანი კვლევისთვის. ასევე, აღნიშნული კვლევა დაგვიხმარა, უკეთ დაგვენახა ის პრობლემები, რომლებსაც ქართველი ქალები აწყდებიან სექსუალური ძალადობის გამოცდილების შემდეგ ნარატივის კონსტრუირების პროცესში.

შედეგები

შედეგების ნაწილში განვიხილავთ პირველი და მეორე რესპონდენტის ინტერვიუებს ცალ-ცალკე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითოეული ქეისი განხილულია კონკრეტული თემების მიხედვით და ყურადღება გამახვილებულია ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ვფიქრობთ, რომ მსგავსი მიდგომა ორივე ინტერვიუს სიღრმისეული გააზრების საშუალებას იძლევა და ნათლად გვაჩვენებს რესპონდენტების ნარატივებს შორის კონსისტენტურობასა თუ განსხვავებებს, რაც საბოლოო დასკვნების გამოტანაში დაგვიხმარა.

ქრისტიანე

ინტერვიუს საწყის ეტაპზე ქრისტიანემ საკუთარი ცხოვრება რამდენიმე ეპიზოდად დაყო. პირველ ეპიზოდად ბავშვობა გამოყო, რომელსაც თავიდან მძიმე (ძალადობის) გამოცდილებით იწყებს, შემდეგ მალევე წყვეტს საუბარს და ბავშვობას ძალიან მხიარულად აღწერს, თუმცა საუბარს სწრაფად ასრულებს. ბავშვობის ასაკში პირველი მატრამვირებელი გამოცდილება (სექსუალური ძალადობის მცდელობა), როგორც ჩანს, შემდეგში თინეიჯერობის ეტაპზე უარყოფითად აისახება:

ესე იგი ბავშვობაში... პირველი შემთხვევა მოხდა ბავშვობაში, 13 წლის ასაკში. ნათლიას შვილის... ამმ... ანუ თავიდან დავიწყეთ, რომ მქონდა უზრუნველი ბავშვობა, კი ანუ ძან ცუდი პერიოდი იყო, 95-იანი ვარ და აი 90-იანების პერიოდს მოვესწარი, თუმცა ამის მიუხედავად მაინც

უდარდელი ბავშვობა მქონდა, ჩვეულებრივად, დროს ძირითადად ვატარებდი სკოლაში და ეზოში ბავშვებთან ერთად. მოკლედ აღწერ, ალბათ, რას ვაკეთებდი ბავშვებთან ერთად, როგორ ვთამაშობდი.

მეორე ეპიზოდად თავად თინეიჯერობის ასაკი დაასახელა, ამ ეპიზოდზე საუბრისას პრობლემებსა და სირთულეებს გაუსვა ხაზი. ცალსახად ძალადობის მეორე მცდელობაც ახსენა, თუმცა ძირითადი ყურადღება გაამახვილა მის ემოციურ გაძლიერებაზე, რამაც ნიადაგი მოუშადა ცხოვრების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად:

შემდეგ უკვე თინეიჯერობის ასაკში იყო ის მომენტი, მეორეჯერ რომ სცადეს ანუ იგივე პრობლემა რომ შემექმნა, როგორ ვიპოვე საკუთარ თავში ძალა, როგორ გავძლიერდი, როგორ დავიხსენი თავი, როგორ მომეწონა პირველად ამ ამბების შემდეგ ბიჭი, ასევე იყო განშორება, სევდა, თუმცა ბოლოს, ალბათ, ყველაზე ღირებული რაც იყო, დავამთავრე სკოლა და გავხდი სტუდენტი.

შემდეგ თავს „სტუდენტობა“ დაარქვა და ყველაზე უფრო რთულად და გრძლად ეს თავი აღწერა. ისაუბრა პრობლემებზე უნივერსიტეტთან დაკავშირებით, ხაზი გაუსვა სწავლაში იმედეგაცრუებას. დაბოლოს შეეხო სექსუალური ძალადობის განხორციელების ფაქტსაც, თუმცა ცდილობდა ამ თემისთვის თავი აერიდებინა, სიტყვა „ძალადობის“ თქმაც უჭირდა და მომხდარის გამართლებასაც ცდილობდა: „ალბათ, ასე მეწერა“:

მოვხვდი სხვა უნივერსიტეტში, ახლა არ ვიცი, არსებობს თუ არა ის, სიმართლე რომ გითხრათ, მეც მაშინ გავიგე პირველად, რომ არსებობდა და ისე მოხდა, რომ აი ის დავგირგვინება, რაც ყველაზე მეტად მე გამიჭირდა, გამირთულდა, აი ფარ-ხმალი დამაყრვეინა იყო ის მომენტი, როცა ჩემმა ჯგუფელმა გააკეთა ის, რაც გააკეთა, რისთვისაც ახლა ჩვენ ვსაუბრობთ. თუმცა შემდეგ იყო მაინც მონდომება, არ დავენბდი, ჩემს თავში ვიპოვე, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ძალა... ამმ... ალბათ, უნდა მომხდარიყო, რადგან ეს მეწერა, იმიტომ რომ პირველ ჯერზე და მეორე ჯერზე, რომ თავს დააღწევ და მესამეჯერ, რომ ვიღაცას გამოუვა, მან რთულია ანუ გასააზრებლად, მაგრამ გავიზარე ეგ ყველაფერი.

ბოლოს „წარმატების“ თავი გამოყო, რასაც მის ამჟამინდელ მდგომარეობად აღიქვამს. ასევე, ამბობს, რომ საზრუნავი და სანერვიულო ამ ეტაპზე არ აქვს და თავს ბედნიერად გრძნობს, ამით თითქოს პასუხისმგებლობის შეგრძნებას გაურბის, აქვე საუბრობს თავის კლასსა და მეგობრებზე და აღნიშნავს, რომ ყველაზე რთულ პერიოდში მხარდაჭერას სწორედ მათგან გრძნობდა. გარდა ამისა, აღნიშნავს, რომ საკუთარ თავთან მუშაობითა და საუბრით გადალახა რთული ეპიზოდები ცხოვრებაში. ამბობს, რომ საკუთარ თავს გარკვეულ კრიტერიუმებს უწესებს, რამაც შეიძლება იმაზე მიგვანიშნოს, რომ საკუთარ თავს გარკვეულწილად ჩარჩოში სვამს:

სიმართლე რომ გითხრათ, ამდენი წლის განმავლობაში ყველაზე დალაგებული პერიოდი მაქვს ახლა, საზრუნავი და სანერვიულო არ მაქვს არაფერზე საერთოდ, იმის გარდა, რომ დილით ადრე უნდა ავდგე და ვიმუშაო.

ძირითადად ამ რთული პერიოდის დროს, როდესაც უკვე თინეიჯერობა სრულდება და იწყება... გარკვეული ნაბიჯი უნდა გადავდგათ და უნდა გავიზარდოთ, ეს მოხდა ჩემს მეგობრებთან ერთად, ჩემს კლასელებთან ერთად და ჩემს თავთან ლაპარაკით, ანუ მე ხშირად ველაპარაკები ჩემს თავს, კრიტერიუმებს ვუწერ, აი ეს უნდა გავაკეთო, ესე უნდა მოვიქცე და ერთ დღესაც რომ გავიზარდე, მივხვდი, რომ თინეიჯერი აღარ ვარ და გარდატეხის პერიოდიც აღარ მაქვს, ვსიო.

ამრიგად, ინტერვიუს პირველ ეტაპზე რესპონდენტმა გამოყო თავისი ცხოვრების 4 თავი - „ბავშვობა“, „თინეიჯერობის ასაკი“, „სტუდენტობა“ და „წარმატება“, რომლებზეც სათითაოდ დაწვრილებით ისაუბრა.

სანამ მაღალ, დაბალ და გარდამტეხ მომენტებზე ისაუბრებდა, მანამდე მოიცვა სტუდენტობის პერიოდში არსებული სირთულეები. ამ ეტაპზე, ხშირად ახსენებს დაშვებულ შეცდომებს და თავს იდანაშაულებს თავის ცხოვრებაში მომხდარ ფაქტებში. ასევე, საუბრობს ოჯახზე და, თითქოს, სინანულის განცდა ეუფლება, რომ ოჯახს ბევრი რამ დაუშავა. შემდეგ სრულიად მოულოდნელად ყვება ისტორიას, რომელიც, როგორც ჩანს, მისთვის გაკვეთილივით გამოდგა, რადგან დღევანდელი გადმოსახედიდან ფიქრობს, რომ იმავეს აღარ გააკეთებდა. ამ ამბის მოყოლის შემოთავაზება მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ გაურბის ძალადობის თემაზე საუბარს და სხვა ისტორიებით ტვირთავს ინტერვიუს:

იმდენად რთული პერიოდი მქონდა, რომ იგივე რაღაც რომ მოხდეს დღეს, ზუსტად ვიცი, რომ ძალიან დიდხანს ვიფიქრებ, თუნდაც მარტივი მაგალითისთვის, ფულით არ დავებმარებოდი ისეთ ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობ ანუ ჩემს თავს არ ჩავაყენებდი საფრთხეში, რომ რაღაც ისეთი მოხდებოდა, რასაც შემდეგ ვინანებდი, ანუ რამდენი ხნის წინ იყო ეგეთი ფაქტი, რომ ადამიანს დავებმარე, სესხი გამოვუტანე და „გადამაგდო“. არ ვიცი რამდენად დაგებმარებათ ეს ისტორია, თუ გაინტერესებთ მოგიყვებით...

აქვე საუბრობს იმ თვისებებზე, რომელიც დედამ ასწავლა, რომ დაეხმაროს ადამიანებს და აღნიშნავს, რომ დღეს ამ თვისებებმა პირიქით დააზარალა, ამაში დედას ადანაშაულებს, თითქოს, პასუხისმგებლობის მშობელზე გადატანას ცდილობს:

დედაჩემს ვაბრალებ ამას (იციანის), ისეთი რაღაცები მასწავლა, რაც დღეს არ გამომადგა ამ ცხოვრებაში, პირიქით დამაზარალა, კარგი ცოდნა იყო, მაგრამ მე დამაზარალა.

ინტერვიუს მეორე ნაწილში, ქრისტიანულ დაასახელა და აღწერა თავისი ცხოვრების მაღალი, დაბალი და გარდამტეხი მომენტი. მაღალ მომენტად იგი დისშვილის დაბადებას ასახელებს, აღნიშნავს, რომ მისი დისშვილის დაბადება მოტივატორი ფაქტორი იყო მისთვის, რომელმაც ბიძგი მისცა მას, გაეგრძელებინა ცხოვრება:

ამ...რატო იყო მნიშვნელოვანი...ალბათ, ამ პრობლემების შემდეგ, რომ აი სულ დამაბული ვიყავი, სულ ბრძოლაში ვიყავი, სულ რაღაცა დეპრესიაში ვიყავი, ნიკოლოზის დაბადებამ რაღაცნაირად სილა გამაწნა სახეში და მითხრა, რომ „ეე დეიდა გამოფხიზლდი, ახლა ცხოვრება უნდა გააგრძელო“ ანუ ჩემთვის ეს გააკეთა ამ ამბავმა.

აქვე რესპონდენტი საუბრობს მისთვის მატრამვირებელ გამოცდილებაზე, მეგობრის სიკვდილზე, რომელიც ძალადობის მსხვერპლი იყო. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მისთვის ეს შემთხვევა უფრო დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ საკუთარ თავს მიიჩნევს დამნაშავედ, თუმცა არ აღიარებს ამ ფაქტს. შესაძლოა, დავუშვათ ისიც, რომ მისი ძალადობის მატრამვირებელი გამოცდილებაც უფრო ამძიმებდეს მისი მეგობრის ძალადობით გარდაცვალების მოვლენას. ზოგადად, რესპონდენტი საკუთარ თავს ბევრ რამეში ადანაშაულებს, აქვე ამბობს, რომ რაღაც ხმა ჩასძახის, რომ დამნაშავეა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, თვითშეფასების პრობლემებზე ვიფიქროთ, ასევე ხმები, რომლებიც მას ესმის, შესაძლოა, იყოს აკვიატებული ფიქრები, რომლებიც აწუხებს:

მე უფრო რომ ჩავძიებულებიყავი, უფრო გამომიტყდებოდა, მოერიდა, შერცხვა მაგის აღიარება ჩემთან, ალბათ, უფრო სხვანაირად უნდა მელაპარაკა, არ უნდა გავჩერებულიყავი მის ნათქვამზე და უფრო დიდხანს უნდა მელაპარაკა მაგ თემაზე, მე...

სულ მაწუხებს ეგ ფაქტი, თითქოს ვიღაც ჩამძახის სულ, რომ უფრო უნდა ჩამიებოდი, უფრო უნდა დაინტერესებულიყავი, აი, მეუბნება რაღაცა ამას და არ ვიცი...

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაბალ მომენტად რესპონდენტმა სექსუალური ძალადობის ფაქტის ნაცვლად, მეგობრის დაკრძალვის დღე დაასახელა, თითქოს, გვერდი აუარა ძალადობის ფაქტს და სულ სხვა ისტორიას მოჰყვა. ძალადობის თემაზე შეკითხვით დაბრუნების შემდეგ დაიწყო უშუალოდ ძალადობაზე საუბარი; საუბრის დროს ხშირად ჰქონდა პაუზები, ამ თემაზე ღიად საუბარი, როგორც ჩანს, ძალიან უჭირდა და მალევე მორჩა ლაპარაკს:

დამირეკა ჩემი დის დაქალმა სახლში მივდივარ და წამოდიო, კაი-მეთქი ვუთხარი და ბავშვები უკვე წასულები იყვნენ, მე და ეს ბიჭი ვიყავით მარტო სახლში და მაშინ გააკეთა...(პაუზა, 5 წმ), მაშინ იძალადა...ხო რა... (პაუზა, 5 წმ).

ამკარა იყო, რესპონდენტი ვერ საუბრობდა დალაგებულად, არეული ჰქონდა აზრები და ვერ მიჰყვებოდა ქრონოლოგიას. მთელი ინტერვიუს განმავლობაში უმნიშვნელო დღის თარიღიც კი მკაფიოდ ახსოვდა ქრისტინეს, ხოლო ძალადობის გამოცდილების თარიღი ვერ გაიხსენა. მან აღნიშნა, რომ 18 წლის ასაკში, 2017 წელს, ჰქონდა სექსუალური ძალადობის გამოცდილება, ამასთანავე, მისი თქმით, დღეს 25 წლისაა. თუ დავუკვირდებით მის ნათქვამს, მივხვდებით, რომ რომელიღაც თარიღი შეცდომითაა დაფიქსირებული. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე გვექონდეს რეპრესიასთან, მატრამვირებელ გამოცდილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლს არაცნობიერში აქვს გადაგებული:

აამ...ეს მოხდა... ესე იგი... 2017 წელი იყო, აამ... გაზაფხული იყო...ერთი წამით, ზუსტად გეტყვით, თუ დამელოდებით ორი წუთით (ინტ. დიახ)... (პაუზა, 7 წმ)... სურათი მაქვს გადაღებული იმ დღეს, ეგ სურათი თუ ვიპოვე...გაზაფხული იყო რა... ანუ...(შეწყვეტინება).

როგორც აღმოჩნდა, ქრისტინეს მატრამვირებელი გამოცდილების შესახებ, მის გარდა, არავინ იცის, რის გამოც ის განიცდის მხარდაჭერის სიმცირეს, ეს კი უარყოფითად აისახება მის განცდებზე საუბრის დროს. უჭირს საუბარი ღიად ძალადობის თემაზე, თუმცა ამბობს, შანსი რომ მიეცეს, ხმამაღლა ისაუბრებს მის გამოცდილებაზე. ამასთანავე, ქრისტინე ამბობს, რომ ეს ამბავი ძალიან კარგად შეფუთა და შეინახა. ეს კი, თითქოს, მოცემული თემის ტაბუირებულ და სტიგმატიზებულ აღქმაზე მიგვანიშნებს, რესპონდენტს კი რეპრესირებული აქვს თავისი გამოცდილება, რითაც თავს არიდებს კულტურულ წნეხს:

არა, მეგობრებმა ნუ რამდენიმემ იცის, ორმა ადამიანმა იცის და თქვენ იცით, ანუ მე მან საგულდაგულოდ შევფუთე და გადავმალე...
საქართველოში დღეს ჩვენთან აი ეს ცუდი მენტალიტეტი... ეს რომ მე ღიად მომეყოლა, იტყოდნენ: „აი საწყალი“ და კი ნამდვილად ცუდი გამოცდილებაა, მაგრამ „საწყალი“ და „ცოდვა“ არა..

ძალადობის ფაქტში რესპონდენტი, თითქოს, თავს არაცნობიერად იდენაშაულებს. აღნიშნავს, რომ ამ ფაქტის შემდეგ საკუთარი თავის მიმართ კრიტიკული გრძნობები გაუჩნდა. გარდა ამისა, ძალადობის ფაქტის დღეს ბავშვთა სახლში ბავშვის მიერ მიცემული შოკოლადის შეფუთვას ინახავს, თითქოს, ამ ქმედებით ცდილობს იმდღევანდელი განცდების გადატანას ბავშვთა სახლზე, რათა მიიღოს დადებითი ემოციები. მოცემული ქცევით რესპონდენტი განდევნის არაცნობიერში იმ დღეს მომხდარ მატრამვირებელ ძალადობის ფაქტს:

ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ დებილი ხარ...ვისიო... უფრო სხვანაირად უნდა მოქცეულიყავი, მაგრამ მერე, რომ დაფიქრდი ვერაფერს ვერ გავაკეთებდი, ვერაფერს ვერ გამოვასწორებდი...ჰოდა...მე მაქვს შენახული მისი ნაჩუქარი შოკოლადის შეფუთვა, ანუ თვითონ პარკი მაქვს შენახული, ბავშვმა მაჩუქა და ეს პარკი კონკრეტულად იმ დღეს მახსენებს, როცა ვუყურებ ამ პარკს, ყურადღებას მხოლოდ ამ ბავშვზე ვამახვილებ და არა იმ დღეს რაც მოხდა, გაგრძელებაზე და მახსენდება მხოლოდ ეს ბავშვები.

ქრისტიანე ასევე შეეხო მის პირად ურთიერთობას ძალადობის გამოცდილების შემდეგ. ის ცალსახად ამბობს, რომ მისი ყოფილი შეყვარებული მისთვის იმ კომპლექსების დასაძლევად კარგი საშუალება იყო, რომლებიც ძალადობის ტრავმულმა გამოცდილებამ დაუტოვა. აქვე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულად აღარაფერს განიცდის. როცა ემოციური ფონი არ გვაქვს, ემოციები გასადავებელია და ტრავმული გამოცდილებაც არაცნობიერშია გადასროლილი. იქიდან გამომდინარე, რომ რესპონდენტი ყოველგვარი გრძნობების გარეშე აღწერს მოცემულ გამოცდილებას (განმორებას ყოფილ შეყვარებულთან), შესაძლოა, საქმე გვექონდეს იზოლაციასთან და ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემებიც იზოლირებული ჰქონდეს თავად რესპოდენტს:

ერთი-ორი დღე თუ ვიყავი დამწუხრებული და იმის მერე ძალიან მარტივად გადამაქვს ყველა სადარდებელი.

რესპონდენტი თავისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად რამდენიმე მოვლენას ასახელებს: სხვა (უკეთეს) უნივერსიტეტში მობილობით გადასვლა, მისი მეგობრების გარდაცვალება, მეგობრის თხოვნით აღებული სესხის დაფარვა და პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება. უნივერსიტეტში მობილობას, თითქოს, ხსნად და ახალ გზად აღიქვამს, განსხვავებით ძალადობის გამოცდილების ფაქტებისა, ამ მოვლენის ფაქტები ზედმიწევნით მკაფიოდ ახსოვს. მეგობრების გარდაცვალებამ, როგორც თავად აღნიშნავს, ნდობის ფაქტორი შეურყია და ასწავლა, რომ უკეთესი გამხდარიყო, ხოლო სესხის დაფარვამ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა და საზრუნავი აარიდა. ამ ეტაპზე ძალადობის ფაქტს საერთოდ არ ახსენებს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მისთვის ძალადობის გამოცდილება უარყოფითი, მაგრამ მოტივატორი მოვლენაა, რომელმაც ძლიერ პიროვნებად ჩამოაყალიბა. გარდა ამისა, გარდამტეხ მომენტზე საუბრისას გამოიკვეთა მისი დადებითი ემოციები ამ თემაზე ღიად საუბართან დაკავშირებით, თითქოს, პირველად ყვება ამ ისტორიას, თუმცა იმ გარემოების გაცნობიერება, რომ ვიღაც უსმენს, მასში სასიამოვნო განცდებს აღძრავს, თავს საჭიროდ მიიჩნევს, თვითშეფასება და თვითეფექტურობის გრძნობაც მატულობს:

თუნდაც ეს სიტუაცია რომ ავიღოთ, ძალიან მომწონს ეს სიტუაცია, რომ მე მისმენთ და შეიძლება ჩემი ლაპარაკი გამოგადგეთ, შეიძლება არც გამოგადგეთ, მაგრამ ხომ მისმენთ, ანუ ეს მან მომწონს, ეს ფაქტი...გუშინ ჩემმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა მთხოვა დახმარება რაღაცში, ვერ გავერკვიე და ცოტა შემაგულიანეო, ეს ფაქტი მომწონს, ადამიანებს, რომ ვეხმარები ანუ ვიღაცას, რომ ჩემი იმედი აქვს, ძალიან მომწონს.

საინტერესოა ისიც, რომ მთელი ინტერვიუს განმავლობაში სექსუალური ძალადობის ტრავმულ გამოცდილებაზე საუბარს თავს არიდებდა და მცირედი საუბარიც კი ძალიან უჭირდა, მალევე მორჩა და ღრმად არ ჩაეძია. თუმცა ბოლოს ინტერვიუერის ნათქვამმა „ძლიერი პიროვნება ჩანხართ“ ქრისტიანეს მოტივაცია მისცა, უფრო მეტი ელაპარაკა, ბოლოს გადახედა და გაიაზრა, რომ ამ თემაზე ღიად საუბარი

და იმის გაცნობიერება, რომ ვიღაც გისმენს, ძალიან სასიამოვნოა. შედეგად, ინტერვიუს დასასრულს მას მეტი გამბედაობა მიეცა, ესაუბრა ბევრად უფრო ღიად მისი ცხოვრების ტრავმული გამოცდილებების შესახებ:

დიდი მადლობა თქვენ და უფრო დაწვრილებითაც შემოძლია მოგიყვებო, თუ რამე კითხვა გექნებათ, დამიკავშირდით, არ მერიდება, მოვყვები და აუცილებლად გამაგებინებ კვლევის შედეგები.

მამასადამე, ქრისტიანთან საუბარში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიყო. პირველი, მან საკუთარი ცხოვრება 4 თავად დაყო: „ბავშვობა“, „თინეიჯერობის ასაკი“, „სტუდენტობა“ და „წარმატება“. თითოეული თავი შეძლებისდაგვარად ამომწურავად დაახასიათა. მეორე, მან ყურადღება გაამახვილა ოჯახზე, პირად ურთიერთობებზე, მეგობრების ტრაგიკულ ცხოვრებაზე. მესამე, საინტერესო იყო ისიც, თუ ცხოვრების რა ისტორიები დაასახელა მან დაბალ (მეგობრის გარდაცვალების დღე), მაღალ (დის შვილის დაბადება) და გარდამტეხ მომენტად (სასურველ უნივერსიტეტში მობილობა). გარდა ამისა, რესპონდენტის ნარატივში შევნიშნეთ გარკვეული დანაშაულის განცდები, თვითბრალდება და გაუპატიურების ისტორიის გახსენებისადმი თავის არიდების ქცევა. მას გაუჭირდა ტრავმულ გამოცდილებაზე საუბარი, თარიღებიც კი, რომელსაც სხვა შემთხვევებში ზეპირად იმახსოვრებს, აქ აბსოლუტურად დავიწყებულია და მუდმივად ცდილობს სხვა საკითხზე გადასვლას. მიუხედავად საკუთარი გამოცდილებისა, ქრისტიანს ხედვა მომავლისკენ ძალიან ოპტიმისტურია, ხოლო ეს ამბავი და სხვა გამოცდილებები უკვე წარსულშია დარჩენილი. საბოლოოდ, ქრისტიანს ინტერვიუ საკმაოდ ინფორმატიული აღმოჩნდა ჩვენთვის და საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით მისი ცხოვრების გზას.

ნატალია

ინტერვიუს პირველ ეტაპზე ნატალიამ საკუთარი ცხოვრება რამდენიმე ეპიზოდად დაყო. საკუთარი ცხოვრების 18 წელი ერთ თავში მოაქცია და მისთვის ეს ყველაზე მოკლე თავი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე გრძელ პერიოდს მოიცავს. ნატალია აღნიშნავს იმას, რომ ამ პერიოდში საკმაოდ რთული დამოკიდებულება ჰქონდა ოჯახთან, ასევე, ამ ასაკობრივ შუალედში (16-17 წელი) გამოუმჟღავნდა დედას ალცჰაიმერი, რამაც, საბოლოოდ, ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე:

ჩემი ოჯახი ეს იყო მე და დედაჩემი, რომელიც ძან მკაცრი ქალი იყო. რომელსაც დაემართა... სჭირდა ალცჰაიმერი. და სჭირდა, ალბათ, რომ ვიყავი 16-17 წლიდან. და ამან ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე, ჩემს პიროვნებაზე.

მეორე თავი უნივერსიტეტს ეხება - „ბავშვობის შემდეგ“. აქ თავს იყრის 2 წლის გამოცდილება. ეს გარკვეულწილად გარდატეხისთვის მოლოდინის/მომზადების პერიოდია:

ცხოვრების სხვა ეტაპზე გადავდივარ, არც უკვე პრობლემები მექმნება ოჯახთან, მყავს შეყვარებული, ვცდილობ რაღაც დამოუკიდებლობების მოპოვებას, მაგრამ არ გამომდის და გამოუცდელია გან რაღაც შეცდომები მომდის.

მესამე თავი, რომელიც გაუპატიურებას შეეხება, ყველაზე დატვირთულია, როგორც თავად რესპონდენტი აღნიშნავს, თუმცა რეალურად საკმაოდ მოკლედ, ფაქტების სახით, აღწერს ყველაფერს:

შემდეგი თავი იქნებოდა - გაუპატიურება. და, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული თავი იქნებოდა. სადაც მოვყვებოდი როგორ მოხდა ეს ამბავი, რამდენად მრავალპროფილური იყო იმ მხრივ, რომ არა მხოლოდ გაუპატიურების მხრივ და ძალადობის მხრივ, არამედ ზოგადად სხვები როგორ უყურებენ და როგორი ურთიერთობა ყალიბდება ჩემსა და მათ შორის. სახელმწიფო ორგანოების ქცევა, სახელმწიფო ორგანოებში მომუშავე პირების ქცევა, ჩემი შეყვარებულის ქცევა, ჩემი მეგობრების ქცევა, ჩემი ოჯახის ქცევა. ჩემი შეცვლა. პლიუს ამას ჩემი სამსახური, სადაც რაღაც გამოცდილებები, რაც მანამდე მქონდა აბსოლუტურად სხვა სამსახურში შევაბიჯე, სადაც აბსოლუტურად კარგი გარემო დამხვდა, მან მეგობრული და პროფესიულად რომ ცოტა-ცოტა წინ მიიწევ რაღაც ნაბიჯებით.

შემდეგ თავს „განთავისუფლება“ ეწოდება, რომელიც 3-4 თვის ამბებს მოიცავს. ამ პერიოდში ნატალია ამ თემაზე ხმამაღლა და თავისუფლად საუბრობს, რამაც ამ ტრავმიდან ხსნა უჩვენა:

ეს იყო რაღაც ძალიან განმათავისუფლებელი ჩემთვის და აი უკვე რომ აღარ აქცევ ისეთ ყურადღებას ამ ამბავს. ისეთ ყურადღებას არ უთმობ და იმდენ ენერჯიას არ უთმობ, რამდენსაც უთმობდი და ჩემთვის ეს ამბავი მთელ ამ ტრაგიკულობას და შფოთვით ნაწილს კარგავს. ეს ამბავი რჩება წარსულში და აგრძელებ ჩვეულებრივად ცხოვრებას.

უკანასკნელი თავი - „ბრძოლები“ - ამჟამინდელ რეალობას შეეხება. სადაც, ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგადაა: სამსახურიც, ურთიერთობებიც, რესპონდენტი თავისუფალია და საშუალება აქვს ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს. თუმცა, თითქოს, შეინიშნება გარკვეული სტაგნაციის განცდა:

3 წლის წინ, რომ რაღაც პიკს მივაღწიე, იმ პიკიდან ცოტა ქვემოთ, რომ ჩადიხარ რა და საკუთარი თავის ცუდს და კარგს, რომ უყურებ და ამ ორი რაღაცის ერთმანეთთან დაპირისპირებას უყურებ და მოლოდინში ხარ, რომ რომელიღაცამ უნდა გაიმარჯვოს.

ამდენად, რესპონდენტმა საკუთარი ცხოვრება 5 თავად დაყო, რომელთაც „ბავშვობა“, „ბავშვობის შემდეგ“, „გაუპატიურება“, „განთავისუფლება“ და „ბრძოლები“ უწოდა.

ინტერვიუს მეორე ნაწილში ნატალიამ გამოყო საკუთარი ცხოვრების მაღალი, დაბალი და გარდამტეხი მომენტები. მაღალ მომენტად მან გაუპატიურების აქტის საჯაროდ მოყოლა დაასახელა, თუ როგორი „განმათავისუფლებელი“ ეფექტი ჰქონდა რესპონდენტისთვის ამ საჯარო მხარდაჭერას. ხალხის ასეთი დადებითი რეაქცია, გარკვეულწილად, საკუთარი გადადგმული ნაბიჯების დამადასტურებელი და თვითშეფასების ამამაღლებელიც იყო:

თვითშეფასებასაც გიმაღლებს და გაგრძობინებს, რომ მან სწორი ნაბიჯი იყო, რაც გააკეთე ამ თქმით. ყველაზე მეტი, რაც ამ ამბავმა გამიკეთა იმასთან ერთად, რომ გაუპატიურების ამბავი საერთოდ სადღაც წარსულში მოვისროლე ყველანაირი დანაწების და შფოთვების გარეშე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაბალ მომენტში ნატალიამ არ დაასახელა ცალსახად გაუპატიურება, არამედ მისთვის ასეთი ცუდი გამოცდილება იყო დედის დაავადების, მაგ დროს შექმნილი პრობლემების (მეზობელთან წყლის ჩასვლა, საჭმლის ფულის უქონლობა, ნათესავის გულგრილობა), მოგვიანებით დედის გარდაცვალების,

გაუპატიურების, დაყაჩაღების, სახელმწიფო სტრუქტურებისგან იმედგაცრუების, გაუპატიურების შედეგად ორსულობის, ტოქსიკური შეყვარებულის და ა.შ. ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიანად შექმნა მის ცხოვრებაში ასეთი რთული და მძიმე პერიოდი.

რაც შეეხება გარდამტეხ ეპიზოდს, რესპონდენტმა დაასახელა ერთ-ერთი კურსელის გაცნობის შემთხვევა, რომელთანაც ამჟამად აღარ ურთიერთობს და, ერთი შეხედვით, არც მნიშვნელოვანი პიროვნებაა მისთვის, თუმცა ამ ადამიანის დახმარებით გაიცნო თავისი ახლანდელი საუკეთესო მეგობარი და ახლანდელი შეყვარებული. ასევე, სწორედ ამ ადამიანის სახლიდან მოდიოდა, როდესაც მოხდა გაუპატიურების ფაქტი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს პიროვნება არ ყოფილა მნიშვნელოვანი ფიგურა, მაინც გარდამტეხ ეპიზოდად რესპონდენტმა სწორედ ამ ადამიანის გაცნობა დაასახელა, რაც ყველაფერი უფრო მეტად მნიშვნელოვანის „დასაწყისი“ აღმოჩნდა.

რესპონდენტის ისტორია ქრონოლოგიურ ჭრილში რომ განვიხილოთ, დავინახავთ, რომ წარსული (გაუპატიურების ინციდენტამდე პერიოდი) საკმაოდ პრობლემური, რთული და დაუცველობის პერიოდი იყო:

ადამიანს რაღაც საკვები არ აქვს, სასმელი არ აქვს, ფიქრობს იმას, რომ სასმელი არ აქვს და საკვები არ აქვს და არ ფიქრობს მაღალ მატერიებზე, ანუ ყოფით რაღაცებზე ფიქრობს, რაც სჭირდება და ჩემთვის ადრე ზუსტად ეგ იყო, რომ არ მქონდა თუნდაც დაცულობის შეგრძნება, არ მქონდა თუნდაც.. ყოფილა შემთხვევა, რომ საჭმლის ფულიც არ მქონია და ძირითადად ეგ იყო ჩემთვის მთავარი შფოთვის მომტანი თემები.

გაუპატიურება და მასთან დაკავშირებული ორი კვირა ყველაზე მძიმე პერიოდია, რომელშიც თავმოყრილია მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. ეს მოიცავს, ასევე, შფოთვას, განუწყვეტლივ ფიქრს იმ საკითხზე, თუ როგორ ყველა ამ ისტორიას საჯაროდ და ადამიანების რეაქციების წარმოდგენას.

საზოგადოების წინაშე თხრობის შემდეგ იწყება გარკვეული აღმასვლის, გაძლიერებისა და საკუთარ ძალებსა და თავში დარწმუნებულობის ეპიზოდები. ეს ყველაფერი კი უკავშირდება საკუთარი ისტორიის ხმამაღლა მოყოლასა და ხალხის მხრიდან დადებით, მხარდაჭერით რეაქციებს.

ნატალია აწმყოს ამ „პიკიდან“ ჩამოქვეითებულად განიხილავს, ახლა, მიუხედავად იმისა, რომ დააღწია თავი პრობლემებს, ტოქსიკურ შეყვარებულს, ბევრად თავისუფალია, აქვს ახალი ურთიერთობა და სამსახური, მაინც „იბრძვის“. პრობლემები ახლაცაა, თუმცა მათ უმნიშვნელოდ განიხილავს და რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, წარსული „შფოთვის მომტანი თემები“, ფაქტობრივად, აღმოფხვრილია. გაუპატიურებას რაც შეეხება, ის გააზრებულია, გამოხატულია, ემოციური ფონი ჩამოშორებულია და წარსულშია გადასროლილი.

რესპონდენტმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა კულტურის საკითხებზე. მისი აზრით, ქართულმა კულტურამ მის ნარატიულ იდენტობასა და თხრობაზე არ იმოქმედა, თუმცა რამდენჯერმე დასძენს, რომ საქართველოში მსგავსი საკითხები საკმაოდ ტაბუირებულია, მიჩქმალული და გასაიდუმლოებულია. არც კანონის ფარგლებში სამართლის ძიება არაა გამართლებული, რადგან ქალებს მსგავსი ისტორია

„არ წაადგებათ“ მომავალში. რესპონდენტი გარკვეულწილად, ბედნიერიცაა, რომ მსგავსი კულტურული დისკურსის მსხვერპლი ნაკლებად გახდა:

ნუ ქართულ ოჯახებში ცოტა ისეთი სიტუაციაა, ძირითადად უნდათ ხოლმე, რომ ესეთი ამბები მიჩქმალონ, სხვებმა არ გაიგონ, შეიძლება დაზარალებაც იყოს დაზარალებულის და მიხარია, რომ ამ ყველაფერს აცდის; ძან დეტალებში, რომ გიღრმავდებიან და ცდილობენ, რომ დაგიჭირონ და ვიღაც მოძებნონ, რომ არა ეგეთი ამბები საქართველოში არ ხდება.

ნატალია აღნიშნავს, რომ ქართულ კულტურაში გაუპატიურების შემთხვევების სელექციაც ხდება და, შესაბამისად, საზოგადოების მიერ განსხვავებული რეაქციები მოსალოდნელია: 1. როდესაც გაუპატიურება მოხდა ალკოჰოლისა თუ სხვა ცნობიერების შემცვლელი ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად ბარსა თუ კლუბში და (აქ „გაუპატიურება შენი ბრალია“) 2. უცხო ადამიანის მიერ სექსუალური ძალადობით დაზარალება, ასევე, ემოციური ტონი ისტორიის მოყოლისას, დაზარალებულის ქცევა, შეესაბამება, თუ – არა ეს ქცევა საზოგადოებაში არსებულ მოლოდინებს და სხვა:

ხოდა ამ სიტუაციამ, მითუმეტეს, უცხოები რომ იყვნენ, რომ ვუჩივლე და აღმოჩნდა, რომ მართლა დამნაშავეები იყვნენ, გამოიწვია მაგათი ემპათიაც, თორემ აი ისე, რომ მომეყოლა და, დავუშვათ, არ მეჩივლა და არ ყოფილიყო დანაშაული დამტკიცებული, იდენტიფიცირების გარეშე, რომ მომეყოლა, ალბათ, 80% არც დამიჯერებდა და მეტყობდნენ იგონებ მაგ ისტორიასო.

ნატალია აღნიშნავს, რომ არ აქვს ემოციური ფონი ამ გამოცდილების მიმართ, ახლა ის გასადავებულია და აღარც ახსოვს, რას განიცდიდა მაშინ. თუმცა პირველი რეაქცია და ფიქრი იყო ის, რომ ცოცხლად გადარჩენილიყო. პოლიციაში განცხადების შემდეგ იგრძნო დაღლილობა. მოგვიანებით, გარკვეულწილად, ამ ფაქტის მინიმუმაცია მოხდა:

ჩემმა მეგობრებმა, რომ გაიგეს საერთოდ რავი ტიროდნენ და ცრემლებს აფრქვევდნენ, მეტიქი დაიკიდე, ნუ ნერვიულობ, არაფერია ისეთი, ყველაფერი მორჩება. ალბათ, ეგეც coping მექანიზმია, რომ რაღაცებს ხუმრობაში ვატარებდი.

ჩვენი ყურადღება რესპონდენტის განცდებმა მიიქცია, რადგან საინტერესოა, რამდენად ბუნებრივი და ადეკვატურია ტრავმულ გამოცდილებაზე ემოციური დამოკიდებულებების უქონლობა?! მიუხედავად იმისა, რომ ნატალიამ თვალი გაუსწორა მომხდარს, არ გაექცა ამ ფაქტს და არ უარყო, საბოლოოდ, საკუთარი ემოციები ამ ფაქტთან მიმართებით მაინც „თაროზე შემოდო“ და დავიწყების, არაცნობიერში განდევნის გზა აირჩია.

აქვე უნდა აღინიშნოს სინდისის ქენჯნაც, თუმცა არა მომხდარი ფაქტის გამო, რადგან რესპონდენტი საკუთარ თავს აბსოლუტურად უდანაშაულოდ მიიჩნევს, არამედ, იმიტომ, რომ არ გრძნობდა თავს სხვა ქალების მსგავსად, რომლებიც გაუბედურებულან ამ გამოცდილებით, პირიქით, საკუთარი პრობლემების თვალის გასწორებით, თუმცა მოგვიანებით მისი წარსულში გადასროლით და ჩაკეტვით, ფემინისტური ცოდნით, სხვადასხვა პასუხისმგებლობის (იქნებოდა ეს პოლიციაში წასვლა, აბორტი, სასამართლოში საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა და ა.შ.) საკუთარ თავზე აღებით და მართლ გადაწყვეტილების გზების მოძიებით, იპოვა ძალა საკუთარ თავში, რათა „კანი შეეცვალა და ფერფლისაგან აღმდგარიყო“.

შემდეგ ეტაპზე მოხდა ამ გამოცდილების მიღება და ამ ფაქტთან შეგუება:

მიფიქრია, რომ ცხოვრება ვაბზე არ სრულდება, არც ჩემი ცხოვრება არ უბედურდება, ეგეთი რაღაცები ხდება, გადალახვადია.

საბოლოოდ კი, ვიღებთ ემოციების გასადავებასა და მხოლოდ ფაქტების შენარჩუნებას, რაც ასევე, წარსულშია გადასროლილი.

რაც შეეხება ფსიქოლოგთან კონსულტაციას, ნატალია ნაკლებ გავლენიანად მიიჩნევს თერაპიას და არ ფიქრობს, რომ ამ მხრივ რამე სარგებელი მიიღო, რადგან ყველაფერი თავადვე ჰქონდა გააზრებულ-დალაგებული (მაგრამ არა განცდილი), თუმცა, საერთოდ, ფსიქოლოგის კონსულტაცია ძალიან საჭირო სერვისია სექსუალური ძალადობით დაზარებული ადამიანებისთვის.

ცალკე აღსანიშნია, მხარდაჭერის, განსაკუთრებით კი „მნიშვნელოვანი სხვების“ თანადგომის საკითხი. რესპონდენტისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა შეყვარებულის დამოკიდებულება, რომლისგანაც ვერ მიიღო საჭირო გამხნეება, მაშასადამე, იმ ადამიანისგან, რომელიც, პირველ ყოვლისა, უნდა ამოდგომოდა მხარში, ვერ იგრძნო ის „განთავისუფლების“ განცდა, რაც ზემოთ ვახსენეთ და ვერც ხსნა იპოვა. რესპონდენტი ფსიქოლოგსაც სწორედ ამ საკითხზე ესაუბრებოდა და არა თავად გაუპატიურების საკითხზე:

სულ მეცინება ხოლმე, ალბათ, სხვაზე გამეცინებოდა, როდესაც მართლა ამდენი პრობლემა გაქვს და იმას მისტირი ვაიმე შეყვარებულმა ვერ გამოიგო, ეს ადამიანი ჩემთვის ... შეყვარებულზე მეტი იყო, მეგობარი იყო და ძან გამიჭირდა იმის გადატანა, რომ ასეთ მარტივ რაღაცაში, რაც ორჯერ ორი რომ ოთხია მაგაში ვერ გამოიგო.

ასევე, რესპონდენტი ხაზს უსვამს, მიუხედავად იმისა, რომ აცდა მკაცრი დედის რეაქციებს და ამ ამბის დასამარებას მათ შორის, მაინც დააკლდა ის მხარდაჭრა, რომელიც შეიძლებოდა დედისგან მიეღო.

თუმცა გარდა „მნიშვნელოვანი სხვებისა“, მკაფიოდ გამოიკვეთა საჯაროდ საუბრის პოზიტიური გავლენა. რასაც თერაპიული ეფექტი ჰქონდა რესპონდენტისთვის და ამან თვითშეფასების ამაღლება, საკუთარ საქციელებში დარწმუნება და პიროვნული გაძლიერება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის ამ ისტორიის მოყოლას ალტრუისტული მიზანი არ ჰქონია, საბოლოოდ, ეს ამბავი სხვებისთვისაც მაგალითის მიმცემი და დახმარების გამწევი აღმოჩნდა, რამაც დამატებითი პასუხისმგებლობა, თუმცა დიდი სიამაყის განცდა და ბედნიერება მოუტანა რესპონდენტს და ისეთი დიდი ტრაგედია გადაატანინა, როგორც დედის გარდაცვალება:

მაგრამ იმდენად კარგი რეაქცია წამოვიდა და იმდენად კარგი რეაქცია ჰქონდა ხალხს, რომ ძან უცნაურია (ჩაიციან), რომ დედის სიკვდილის მერე ერთ კვირაში ძან ბედნიერი და ამაყი ადამიანი ხარ, მაგრამ ზუსტად ეგრე ვიყავი.

მაშასადამე, ნატალია საკმაოდ დალაგებულად, დეტალურად და დაუფარავად საუბრობს საკუთარი გამოცდილების შესახებ. ცხოვრებას 5 თავად აკონსტრუირებს, გამოყოფს მაღალ, დაბალ და გარდამტეხ მომენტებს, რომელბიც, საბოლოოდ, სექსუალური ძალადობის გამოცდილებას უკავშირდება. მიუხედავად, მსგავსი მძიმე

ისტორიისა, რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ძლიერი პიროვნებაა და მისთვის ეს გამოცდილება უკვე წარსულშია დარჩენილი და „განთავისუფლებულია“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნატალიამ საკუთარი ტრავმული გამოცდილება გაიაზრა, მიიღო ის, როგორც ფაქტი, თუმცა ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორცაა ემოციური გააზრება ამ ფაქტს ნაკლებად მოჰყვა. მან უბრალოდ გათიშა ემოციური ფონი და განდევნა ის, რაც, ერთი მხრივ, ალბათ, დაეხმარა, რომ ცხოვრება გაეგრძელებინა.

შედეგების ინტერპრეტაცია

ჩვენი კვლევის მიზანი იყო, გვეჩვენებინა, როგორ აკონსტრუირებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალი თავის ცხოვრებასა და საკუთარ ნარატივს. საკუთარი ცხოვრების თავებად დალაგება საკმაოდ მსგავსი იყო ორივე რესპონდენტთან. ბავშვობა, სტუდენტობა, რომლებიც ორივესთან გაუპატიურების ეპიზოდს უკავშირდება და ბოლოს განთავისუფლება და წარმატების მიღწევა. საინტერესო იყო, რომ პირველმა რესპონდენტმა დაბალ მომენტზე საუბრისას გვერდი აუარა ძალადობის გამოცდილებას და სულ სხვა ისტორიას მოჰყვა, მეორე რესპონდენტმა კი საკუთარი ცხოვრების ყველაზე დაბალ მომენტად სწორედ გაუპატიურების გამოცდილება დაასახელა, ხოლო შემდეგი ეტაპი კი ამ უკიდურესი წერტილიდან გამოსვლა, განთავისუფლება და გარკვეული წარმეტებების მიღწევას დაუკავშირა. შესაძლებელია, დავაკვირდეთ ცხოვრებისეული ნარატივის განვითარების მრუდს და შევნიშნავთ, რომ ბავშვობა ორივე რესპონდენტისთვის, ასე თუ ისე, პლატოს ეტაპია (გარკვეული ვარიაციებით), შემდეგ ხდება ხაზის რადიკალურად მინუსებში გადასვლა, ხოლო მოგვიანებით ეს მრუდი მაღლა მიიწევს და ძალიან მაღალ დადებით ნიშნულს უტოლდება. მამასადამე, ჩვენ გარკვეულწილად უსწორმასწორო მრუდს ვიღებთ, რომელიც ორივე რესპონდენტთან საკმაოდ კონსისტენტური აღმოჩნდა.

საკუთარი ცხოვრების თავების დალაგებითაც კი ჩანს, რომ ორივე რესპონდენტთან ადგილი ჰქონდა პოსტტრავმულ ზრდას. ყველაზე მნიშვნელოვანია, ის გარემოება, რომელსაც ორივე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს არის ცუდი გამოცდილება, რომელმაც ისინი კი არ გაანადგურა, არამედ, პირიქით, გააძლიერა. პოსტტრავმული ზრდა მოიცავს პოზიტიურ ფსიქოლოგიურ ცვლილებას, რომელიც არის შედეგი რთული და გამომწვევი ცხოვრებისეული გამოცდილებისა (Tedeschi & Calhoun, 2004 ციტირებული აწყაროში Ullman, 2014).. პოსტტრავმული ზრდა არის კოგნიტური ძალისხმევის შესაძლო შედეგი, რომლის საფუძველზეც ხდება მატრავმირებელი გამოცდილების გამო ჩამოშლილი სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ რწმენებისა და წარმოდგენების ხელახლა შექმნა და გადაფასება (Calhoun & Tedeschi, 2006; Janoff-Bulman, 1992 ციტირებულია აწყაროში Ullman, 2014).

რაც შეეხება საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენის დროში განფენილობას, ორივე რესპონდენტი აღიარებს, რომ წარსულსა და აწმყო „მე“-ს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. ამჟამინდელი „სელფი“ წარსულზე ძლიერია და დიდი ცხოვრებისეული სიბრძნით გამოირჩევა. რაც შეეხება მომავალს, პირველი რესპონდენტი საკმაოდ პოზიტიურად და ოპტიმისტურად უყურებს მომავალს და სურს, რომ საკუთარი თავისთვის მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს, ხოლო მეორე

რესპონდენტი სიტუაციურად და გუნება-განწყობილების მიხედვით მსჯელობს მომავალზე.

საინტერესოა, რომ მეორე რესპონდენტი ასევე ახსენებს, რომ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მას უწევდა ისეთ ფაქტორებზე ფიქრი, როგორცაა საკვები, უსაფრთხო საცხოვრებელი და ა.შ. შესაბამისად, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამ ეტაპზე მას ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ზრუნვა უწევდა, რის გამოც ის ვერ ფიქრობდა ცხოვრებისეულ, სიღრმისეულ, შეიძლება ითქვას, ფილოსოფიურ საკითხებზე. ხოლო ამ მატრავმირებელი გამოცდილების გადატანის, შეგუებისა და ცხოვრების გაგრძელების შემდეგ მისი მოთხოვნილებები უფრო მაღალ საფეხურზე გადავიდა, რაც მოიაზრებდა სოციალური (მეგობრებთან, ახალ შეყვარებულთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა) და მიღწევის (უკეთესი სამსახურის დაწყებას) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასევე ახლა მას შეუძლია უფრო სიღრმისეულ და მნიშვნელოვან საკითხებზეც დაფიქრდეს და ჩასწვდეს მათ. ეს იერარქია კონსისტენტურია მასლოუს მოთხოვნილებათა თეორიისა, რომელიც კარგად ასახავს მის ძირითად ცნებებს (Koltko-Rivera, 2006).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ეს გამოცდილება რესპონდენტების ცხოვრებაში ყველაზე მწვავე და მძიმე აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია ის, რომ ამჟამინდელ პრობლემებს უკვე ნაკლებ რთულად/მწვავედ აღიქვამენ. დასაშვებია, რომ სექსუალური ძალადობა იმდენად მატრავმირებელი აღმოჩნდეს ადამიანებისთვის, რომ, მასთან შედარებით, სხვა პრობლემები უკვე უმნიშვნელო და მარტივად გადალახვადი გახდეს.

ორივე ნარატივში შევხვდით პრობლემის მინიმიზაციასა და რაციონალიზაციას. პირველი რესპონდენტის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითბრალდებასაც და მოგვიანებით ამ ფაქტის გარკვეულწილად გამართლებასაც: „აღბათ, უნდა მომხდარიყო, რადგან ეს მეწერა...“, ხოლო მეორე რესპონდენტთან საერთოდ არ ვხვდებით თვითბრალდებას, თუმცა აქ წარმოდგენილია პრობლემის მინიმიზაცია, ვინაიდან რესპონდენტის აზრით, ეს ყველაფერი არც ისეთ დიდი პრობლემა იყო და ყველაფერი მალე დამთავრდებოდა. ეს შედეგი კონსისტენტურია ბრაუნის (2013) კვლევისა, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ გაურკვევლობა/ბუნდოვანება (uncertainty), რომელიც პრობლემის მინიმიზაციასა და თვითბრალდებასაც მოიცავს, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ადამიანების ნარატივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ორივე რესპონდენტის მონათხრობი შეგვიძლია განვიხილოთ ფსიქოანალიზის, კერძოდ, დაცვის მექანიზმების ჩარჩოში/კონტექსტში. პირველი რესპონდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა თარიღის ზუსტი გახსენება, გარდა ძალადობის შემთხვევების თარიღებისა, მათი უზუსტობა და ბუნდოვანება, შესაძლოა დავუკავშიროთ და ავხსნათ რეპრესიით, რაც ტრავმული გამოცდილების არაცნობიერში გადატანას მოიაზრებს (Frosh, 2002). გარდა ამ ფაქტისა, კიდევ ბევრჯერ ვხვდებით რეპრესიის ანუ განდევნის მექანიზმს ინტერვიუს განმავლობაში. მეორე რესპონდენტთან ვხვდებით მინიმიზაციისა და იზოლაციის მექანიზმის ეფექტურ გამოყენებას, რესპონდენტმა მატრავმირებელი გამოცდილების, ანუ ძალადობის ფაქტის მასშტაბურობა შეამცირა, ემოციური ფონი ჩამოიშორა და საზიანო გამოცდილება გასადავებელი ემოციებით წარმოგვიდგინა (Frosh, 2002).

ამას გარდა, ჩვენი ერთ-ერთი მიზანი იყო გვეკვლია კულტურის, როგორც დომინანტური დისკურსის, გავლენა რესპონდენტების თხრობის პროცესზე, თუმცა მსგავსი ტენდენციის გამოვლენა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ნატალიამ უარყო კიდევ მსგავსი გავლენის არსებობა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ მაინც შეინიშნებოდა იმპლიციტური გავლენა, რაც, ფაქტობრივად, ალტერნატიული ნარატივის სახით გამოვლინდა. მაგალითად, როდესაც ორივე რესპონდენტი შეეხო ისეთ კულტურულად განპირობებულ საკითხს, როგორიცაა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების შეცოდების საკითხი. ორივემ განაცხადა, რომ არ სურდათ ყოფილიყვნენ ვინმეს სიბრალულის ობიექტი. შესაძლოა ამასთან კავშირში იყოს ის, რომ პირველი რესპონდენტი გვერდს უვლიდა ძალადობის გამოცდილებაზე საუბარს და ძალიან ზოგადად ჰყვებოდა ამ ისტორიას, რასაც თან ახლდა ამ გამოცდილების რაციონალიზაცია, ხოლო მეორე რესპონდენტი შედარებით დაუფარავად და თანმიმდევრულად საუბრობს ძალადობის ფაქტის შესახებ, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მას გააზრებული, დალაგებული და მიღებული აქვს საკუთარი გამოცდილება და არ საჭიროებს ვინმეს მხრიდან შეცოდებას. არაა გასაკვირი, რომ რესპონდენტი შედარებით თავისუფლად ლაპარაკობს ამ საკითხზე, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ემოციური ფონი ჩამოშორებულია ნარატივს. ექსპლიციტური კულტურული გავლენა შესაძლებელია იმიტომ არ გამოვლინდა ისტორიებში, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო არც ერთი რესპონდენტი არ ყოფილა საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზების მსხვერპლი, შესაბამისად, ნაკლებად ექნებოდა ადგილი ისეთი დომინანტური სოციალური დისკურსისთვის დამახასიათებელ ფრაზებს, როგორიცაა, „შენი ბრალია“, „შენ გამოიწვიე“ და ა.შ. თუმცა, პირველ რესპონდენტს არავისთვის უთქვამს ეს ამბავი და მიზეზად სწორედ ის გარემოებები დაასახელა, რომელიც შესაძლოა ამ თემაზე ღიად საუბარს მოჰყოლოდა: „შეცოდება“, „შებრალება“ და ა.შ. ხოლო ნატალიასთან მეტწილად შეინიშნებოდა კულტურული წნეხი, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც პოლიციაში მისვლის სცენა აღწერა. ამ კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, კულტურული წნეხი, ასე თუ ისე, გვაქვს სახეზე, თუმცა არა – მძაფრი სახით. ნატალიამ, რადგან ის უცხო ადამიანების ძალადობის მსხვერპლი იყო, იბრძოლა საკუთარი სიმართლისთვის და ასევე ჰქონდა სოციალურად მოწონებული პროფესია (მასწავლებლობა), პირიქით, დადებითი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. ქრისტიანემ კი ამ თემის საგულდაგულოდ შეფუთვა არჩია. ამ შემთხვევაში კულტურის გავლენა მკაფიოდ გამოჩნდა, რადგან ჩვენს საზოგადოებაში ამ თემაზე საუბარი ტაბუირებულია, გასაკიცხი და უხერხულია. მაგალითად, ის, რომ ქრისტიანეს არავისთვის უთქვამს მისი ტრავმული გამოცდილების შესახებ, შეიძლება კულტურის ყველაზე დიდ გავლენად ჩავთვალოთ.

ამდენად, კულტურული გავლენები პირდაპირ, ექსპლიციტურად ნაკლებად ჩანს ინტერვიუებში, მაგრამ თუკი ამ ყველაფერს უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ კულტურა სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია და იმპლიციტურად, ფარულად, მაგრამ ფუნდამენტურად მოქმედებს რესპონდენტების ნარატივზე, როგორც თავს იხილი კულტურული დომინანტური დისკურსის ელემენტებს საკუთარი თხრობის პროცესში და რამდენად მწვავე ნეგატიური ემოციები მოდის მათგან, როდესაც საზოგადოების მოსაზრებებს აჟღერებენ (იხ. Muldoonet al., 2015).

ხაზი უნდა გავუსვათ მსგავსი ისტორიის ხმამაღლა თხრობის დადებით გავლენას. ლიტერატურის მიმოხილვაში აღინიშნა, რომ ტრავმის სიტყვებში გადმოტანას პოზიტიური გავლენა აქვს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (McLean & Lilgendahl, 2008 ციტირებულია წყაროში ხეჩუაშვილი, 2017). ეს საკამოდ მკაფიოდ გამოჩნდა მეორე რესპონდენტთან, რომელმაც მსგავს ნარატიულ აქტს „განთავსუფლება“ უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველ რესპონდენტს ხმამაღლა ამაზე ხშირად არ უსაუბრია, თუნდაც ინტერვიუებთან მსგავს რთულ საკითხზე საუბარი სიამოვნებდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ტრავმული გამოცდილების მქონე ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია, ჰყავდეთ მსმენელი, რომელიც იქნება მათ მიმართ ემპათიური და უპირობოდ მიიღებს მათს მონათხრობს.

ხმამაღლა ლაპარაკის თერაპიულ ეფექტთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, მხარდაჭერის საკითხიც. მეორე რესპონდენტს საკმაოდ დიდი ძალა მიანიჭა („განმთავსუფლებელი“) ხალხის მხარდაჭერამ. საზოგადოების ამ რეაქციამ, ფაქტობრივად, გადაალახვინა მას ეს მძიმე მომენტი. თუმცა ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა შეყვარებულის არაემპათიური დამოკიდებულება. კარლ როჯერსის მიხედვით, ამ რესპონდენტს საკუთარი შეყვარებულისგან აკლდა უპირობო დადებითი მიღება, ემპათია და გულწრფელი გაგება. ყოველივე ეს გულისხმობს, რომ რესპონდენტს შეყვარებულისგან არ ჰქონდა არაშეფასებითი, არაპირობითი, პოზიტიური დამოკიდებულება, მან, ფაქტობრივად, ვერ გაითავისა რესპონდენტის გამოცდილება და განცდები (Dolliver, 1995).

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ორი განსხვავებული ისტორიის მქონე ქალმა მიიღო მონაწილეობა, გარკვეული მსგავსებები მაინც გამომჟღავნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ორივე რესპონდენტთან შეინიშნა იყო ის, რომ სექსუალური ძალადობის გამოცდილება, შეძლებისდაგვარად, ორივე რესპონდენტს აღიარებული, მიღებული, „გადახარშული“ და წარსულში გადატანილი აქვს, რაც ცნობიერებაში ფაქტების სახით არის შემორჩენილი. რესპონდენტებს დიდად აღარ სურთ კვლავ და კვლავ გაიხსენონ ეს ისტორია. ეს მათთვის საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა და დიდი ხანია მეხსიერებაშია გადატანილი, აწმყოსა და მომავალთან კავშირი და გავლენა, ფაქტობრივად, არ აქვს. გარდა ამისა, ორივე რესპონდენტთან თანაბრად გამოვლინდა ძალადობის ფაქტის მიმართ დამოკიდებულება, ორივე რესპონდენტი აღიქვამს მომხდარს ცუდ, მაგრამ მოტივატორ გამოცდილებად, რომელმაც მათ მისცა გაძლიერების საშუალება და ბევრი საკითხის მიმართ გადაფასებული შეხედულებები ჩამოუყალიბათ. საბოლოოდ, რადგან კვლევაში მხოლოდ ორი რესპონდენტი მონაწილეობდა, ის ვერ განზოგადდება პოპულაციაზე, თუმცა მივიღეთ მნიშვნელოვანი შედეგები გარკვეული სურათის შესაქმნელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Brown, C. (2013). Women's Narratives of Trauma: (Re)storying Uncertainty, Minimization and Self-Blame. *Narrative Works*, 3(1). Retrieved from <https://journals.lib.unb.ca/index.php/NW/article/view/21063>
- Delker, BC., Salton, R., McLean, KC., & Syed, M. (2020). Who has to tell their trauma story and how hard will it be? Influence of cultural stigma and narrative redemption on the storying of sexual violence. *PLoS ONE* 15(6). <https://doi.org/10.1371/journal.pone.0234201>
- Dolliver, R. H. (1995). Carl Rogers's Personality Theory and Psychotherapy as a Reflection of His Life Experience and Personality. *Journal of Humanistic Psychology*, 35(4), 111–128. doi:10.1177/00221678950354006
- Frosh, S. (2002). *The Key Concepts of Psychoanalysis*. British Library.
- Koltko-Rivera, M. E. (2006). Rediscovering the later version of Maslow's hierarchy of needs: Self-transcendence and opportunities for theory, research, and unification. *Review of General Psychology*, 10(4), 302–317.
- McAdams, D. P. (2001). The Psychology of Life Stories. *Review of General Psychology*, 5(2), 100–122. http://www.selfdefiningmemories.com/McAdams_Life_Stories_2001.pdf.
- Muldoon, S., Taylor, C.S., & Norma, C. (2015). The Survivor Master Narrative in Sexual Assault. *Violence Against Women*, 22 (5), 565-587.
- Yuen, B., Billings, J., Morant, N. (2019). Talking about the mental health implications of sexual assault: A narrative analysis of sexual assault survivors' journeys. *Journal of Interpersonal Violence*. University College London (UCL), London.
- Ullman S. E. (2014). Correlates of Posttraumatic Growth in Adult Sexual Assault Victims. *Traumatology*, 20(3), 219–224. <https://doi.org/10.1037/h0099402>.
- UN Women (2018). *ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017*. <https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20vaw%20study%20report%20geo.pdf?la=en&vs=4436>
- UN WOMEN საქართველო. (2018, March 6). Georgia.Unwomen.Org. <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2018/03/one-in-seven-women-in-georgia-experiences-domestic-violence-new-national-study-finds>
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. თავი XXII. მუხლი 137. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230&fbclid=IwAR32SHKznOfiUS0HxRONylJliGN1D1arBH9-mIWdC0SfMj9fi_imT0ZhRd4#
- ხეჩუაშვილი, ლ. (2017). ადამიანის ცხოვრების კვლევა და ნარატივის ანალიზი, გვ. 6–48, 182-201. თბილისი.